პრეზიდენტ ჰენრი ბ. აირინგის მიერ
პირველი პრეზიდენტობის
პირველი მრჩეველი

გულების მობრუნების დაპირება

დედაჩემი, მილდრედ ბენნიონ აირინგი, გაიზარდა აშშ-ს იუტას შტატის გრანგერის ფერმერთა დასახლებაში. ერთ-ერთი ძმა, როი, მიჰყვა ოჯახურ ბიზნესს – ცხვრის მოშენებას. ახალგაზრდობაში მას მრავალი კვირის განმავლობაში უწევდა სახლიდან გასვლა. დროთა განმავლობაში მისი ეკლესიის მიმართ ინტერესი განელდა. საბოლოოდ იგი გადავიდა საცხოვრებლად აშშ-ის აიდაჰოს შტატში, დაქორწინდა და სამი შვილი იყოლია. იგი 34 წლის ასაკში გარდაიცვალა; მისი მეუღლე ამ დროს 28 წლის იყო და ჰყავდა პატარა შვილები.

მიუხედავად იმისა, რომ როის პატარა ოჯახი აიდაჰოში ცხოვრობდა, დედაჩემი კი 2 500 მილის დაშორებით (4 025 კმ) ნიუ ჯერსიში, აშშ, იგი ხშირად წერდა მათ სიყვარულისა და გამხნევების წერილებს. ბიძაჩემის ოჯახი სიყვარულით მიმართავდა დედაჩემს „დეიდა მიდ“.

წლები გავიდა; ერთხელ მე ბიძაშვილმა დამირეკა. მან მე მითხრა, რომ როის ქვრივი გარდაიცვალა. ბიძაშვილმა მითხრა: „დეიდა მიდს უნდოდა, შენ რომ გაგეგო“. დეიდა მიდი დიდი ხნის გარდაცვლილი იყო, მაგრამ ოჯახი კვლავ გრძნობდა მის სიყვარულს და ხმაც მომაწვდინა.

მე გამაოგნა იმან, თუ რაოდენ ჰგავდა დედაჩემის როლი საკუთარ ოჯახში ნეფიელების წინასწარმეტყველების როლს მათ ოჯახებში იმის გამო, რომ ისინი სიახლოვეში რჩებოდნენ იმ ნათესავებთან, რომელთათვისაც იესო ქრისტეს სახარების გაზიარება სურდათ. ნეფიმ გააკეთა ჩანაწერი, რომელიც, როგორც იგი იმედოვნებდა, მოახდენდა გავლენას მისი ძმების შვილებზე მათი პატრიარქის, ლეხის რწმენაში დასაბრუნებლად. მოსიას შვილებმაც იგივე სიყვარული გამოიჩინეს, როცა ლეხის შთამომავლებს სახარებას უზიარებდნენ.

უფალმა უზრუნველყო ჩვენთვის სიყვარულის შეგრძნების გზები მარადიულ ოჯახებში. ახალგაზრდები დღეს ეკლესიაში გრძნობენ, რომ მათ გულები ოჯახებისკენ მოუბრუნდნენ. ისინი ეძებენ იმ ოჯახის წევრების სახელებს, რომლებსაც არ ჰქონდათ საშუალება მიეღოთ ხსნის წეს-ჩვეულებანი ამ ცხოვრებაში. ისინი ამ სახელებს ტაძრებს გადასცემენ. ნათლობის წყალში შესვლისას მათ აქვთ საშუალება იგრძნონ უფლის და იმ ოჯახის წევრების სიყვარული, რომლებისთვისაც ისინი ატარებენ შემცვლელ წეს-ჩვეულებებს.

მე ისევ მახსოვს სიყვარული ჩემი ბიძაშვილის ხმაში, რომელმაც დამირეკა და მითხრა: „ჩვენი დედა გარდაიცვალა; დეიდა მიდის უნდოდა, რომ შენ ეს გცოდნოდა“.

ისინი, ვინც ატარებენ ოჯახის წევრებისთვის წეს-ჩვეულებებს, სიყვარულით გვწვდებიან ისევე,

როგორც მოსიას ვაჟები და წინასწარმეტყველი ნეფი. მათსავით, თქვენც იგრძნობთ სიხარულს მათთვის, ვინც მიიღებს თქვენს შემოთავაზებას. თქვენ ასევე შეგიძლიათ განიცადოთ იგივე დიდი კმაყოფილების გრძნობა, როგორიც ჰქონდა ამონს, რომელმაც ასე თქვა მისიონერული სამსახურის შესახებ შორეულ ნათესავთა შორის:

„მაშასადამე, მოდით ვიხაროთ, დიახ, ჩვენ გავიხარებთ უფალში; დიახ, ჩვენ გავიხარებთ, რადგან ჩვენი სიხარული სრულია; დიახ, ჩვენ მარადის ვადიდებთ ღმერთს. აჰა, განა ვინმეს შეუძლია გადამეტებით ადიდოს უფალი? დიახ, ვინ შეძლებს გადამეტებით ილაპარაკოს მის დიდ ძალაზე, წყალობაზე და მოთმინებაზე ადამიანთა შვილების მიმართ? აჰა, გეუბნებით, მე ვერ გამოვხატავ უმცირეს ნაწილსაც კი იმისას, რასაც ვგრძნობ“ (ალმა 26:16).

მე ვმოწმობ, რომ სიყვარულის გრძნობა, რომელიც თქვენ გახლავთ ოჯახის წევრების მიმართ, სადაც არ უნდა იმყოფებოდნენ ისინი, წარმოადგენს დაპირებას, რომლის თანახმადაც ელია უნდა მოევლინოს. იგი მოევლინა. შვილების გულები უბრუნდებიან მამების გულებს, მამების გულები კი – თავიანთ შვილების გულებს უბრუნდებიან (იხ.მალაქია 4:5–6; ჯოზეფ სმითი—ისტორია 1:38–39). როცა თქვენ გრძნობთ წინაპრების სახელების ძიების აუცილებლობას და ეს სახელები მიგაქვთ ტაძრებში, თქვენ ამ წინასწარმეტყველების ახდენის მონაწილენი ხდებით.

ეს დალოცვაა, ცხოვრობდე იმ დროში, როცა ცხადდება გულების მობრუნების დაპირება. მილდრედ ბენიონ აირინგმა ეს აუცილებლობა გულში იგრძნო. მას უყვარდა თავისი ძმის ოჯახი და იგი მიწვდა მათ. მათ იგრძნეს, რომ გულები დეიდა მიდისკენ სიყვარულით მოუბრუნდათ, რადგან მათ იცოდნენ, რომ მას ისინი უყვარდა.

ამ გზავნილის სწავლება

შეიძლება გაგიჩნდეთ სურვილი წაუკითხოთ მათ, ვისაც სტუმრობთ, წინასწარმეტყველება ელიას სულის შესახებ (იხ.მალაქია 4:5–6; ჯოზეფ სმითი—ისტორია 1:38–39). განიხილეთ საოჯახო ისტორიაში ჩართვის გზები, მათ შორის ინდექსირება, სურათები და ბლოგების შექმნა. თუ მათ, ვისაც სტუმრობთ, არ იციან FamilySearch.org, დაუთმეთ მათ საამისოდ დრო და გააცანით ეს მეთოდები.

ახალგაზრდები

ბებიაჩემის გაცნობა

ჯუველინ კარტერის მიერ

მე გამოვხატე სურვილი ახალგაზრდა ქალების ერთ-ერთი პროექტში დავხმარებოდი ბებიას მისი წინაპრების პოვნაში; ამისთვის საჭირო იყო აშშ-ს არიზონას შტატის ქ.მესაში მდებარე ოჯახური ისტორიის მიკროფირებში ძიება. როცა ჩვენ გვერდიგვერდ ვისხედით და ჩვენი ოჯახის კვლევას ვატარებდით, მე დამებადა კითხვა: „კარგად ვიცნობ ჩემს ბებიას, რომელიც გვერდით მიზის“?

ჩვენ მრავალი წინაპარი ვიპოვეთ, მოვამზადეთ მათთვის ინფორმაცია და მათი ნათლობისა და წევრად დამტკიცებისთვის არიზონას შტატის მესას ტაძარში წავედით. ცოტა ხნის შემდეგ ბებიამ თავისი საოჯახო ისტორიის კომპილირებული ფაილი გადმომცა.

რევმატიული ართრიტის გამო ბებიას ძალიან უჭირს ბეჭდვა. მე სიამოვნებით ვეხმარები მას კომპიუტერზე მუშაობაში. ჩვენ ერთად ვწერთ მისი ცხოვრების ისტორიებს ჩვენი ოჯახის სულიერი კეთილდღეობისთვის. მე მომწონს, რომ მისი ცხოვრების ნაწილი ვარ და მსგავს პროექტებში მონაწილეობით ამდენს ვსწავლობ საეკლესიო ისტორიის შესახებ.

ავტორი ცხოვრობს ვირჯინიაში, აშშ.

ბავშვები

სახლში სიყვარული

ზეცაში ანგელოზნი, ღმერთი ხარობენ
როს სახლში სიყვარული დაისადგურებს;
სიყვარული გვაცოცხლებს
როს სახლში სიყვარული დაისადგურებს.

(„როს სახლში სიყვარული დაისადგურებს“ (*ჰიმნები*, გვ. 294)

მამაზეციერს სურს, რომ გვიყვარდეს ჩვენი ოჯახები, რათა ბედნიერნი ვიყოთ. რაც უფრო მეტად ვემსახურებით ოჯახებს, მით უფრო მეტად გვიყვარს მამაზეციერი და ჩვენი ოჯახის წევრები.

გამოჭერით ქაღალდის გულები. დახატეთ ან დაწერეთ მათზე რაიმე სასიხარულო; უჩუმრად მიაწოდეთ ისინი თქვენი ოჯახის წევრებს.

© 2014 Intellectual Reserve, Inc.მიერ. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/14. თარგმანი დამტკიცებულია: 6/14. თარგმანი *First Presidency Message, July 2014.* Georgian. 10867 131

იესო ქრისტეს ღვთიური მისია: შუამდგომელი

ლოცვისეული განწყობით შეისწავლეთ ეს მასალა და ეძიეთ გაიგოთ, რა უნდა გაუზიაროთ ამ მასალიდან სხვებს. როგორ ზრდის მხსნელის მისიისა და ცხოვრების გაგება თქვენს რწმენას მასში და ლოცავს მათ, ვისაც თქვენ სტუმრობთ შინა მასწავლებლის პროგრამით? დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ reliefsociety.lds.org.

რწმენა • ოჯახი • მოწყალება

ეს არის შინა მასწავლებლის გზავნილების სერიათა ნაწილი, რომელიც ასახავს მხსნელის მისიის ზოგიერთ ასპექტს.

იესო ქრისტე არის ჩვენსა და მამაზეციერს შორის შუამდგომელი. სიტყვას *შუამდგომელი* აქვს ლათინური ფესვი და იგი ნიშნავს „ის, ვინც სხვებისთვის ევედრება“.[1] მხსნელი ევედრება ჩვენთვის გაგებით, სამართლიანობითა და მოწყალებით. ამის ცოდნა გვავსებს სიყვარულითა და მადლიერებით მისი გამოსყიდვის გამო.

უსმინეთ [იესო ქრისტეს] რომელიც არის ჩვენი შუამდგომელი მამაზეციერთან, ის, რომელიც შეევედრება მამას თქვენთვის.

„და იტყვის: მამაო, აჰა, იხილე ტანჯვა და სიკვდილი იმისა, ვინც არ ცოდავდა, რომელიც მოიწონე; იხილე შენი ძის სისხლი, რომელიც დაიღვარა, სისხლი იმისა, ვინც მოგვეცი, რათა შენ განდიდდე;

„მაშასადამე, მამაო, გადაარჩინე ჩემი ძმები, რომლებსაც სწამთ ჩემი სახელი, რათა მოვიდნენ ჩემთან და ჰქონდეთ მარადიული ცხოვრება“ (მოძღვრება და აღთქმები 45:3–5).

აი რა თქვა ქრისტეზე, როგორც ჩვენს შუამდგომელზე, უხუცესმა დ. ტოდ კრისტოფერსონმა თორმეტ მოციქულთა ქვორუმიდან: „ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს ის, რომ ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ვითარებაში ლოცვის საშუალებით მე შემიძლია მივუახლოვდე მოწყალების ტახტს, რომ ჩემი ზეციერი მამა შეისმენს ჩემს თხოვნას, რომ ჩემი შუამდგომელი, რომელიც უცოდველია, რომლის სისხლიც დაიღვარა, შეევედრება ჩემთვის ღმერთს“.[2]

წმინდა წერილიდან

მოსია 15:8–9; მორონი 7:28; მოძღვრება და აღთქმები 29:5; 110:4

ჩვენი ისტორიიდან

უფლის ეკლესიის ისტორიაში იესო ქრისტეს ქალი მოწაფეები მიჰყვნენ მის მაგალითს. ესთერი იყო ერთგული და მამაცი შუამდგომელი. მისმა ბიძაშვილმა, მორდექაიმა გაუგზავნა მას მეფის განკარგულება იუდეველების ამოწყვეტის შესახებ და უბრძანა ქალბატონს „შეევედრებოდა მას [მეფეს] და წყალობა გამოეთხოვა ერისთვის“. მან დაამატა: „ ვინ იცის, იქნებ ამ ჟამისათვის ეწია შენ დედოფლობას?“ (ესთერი 4:8, 14.)

თავისი ხალხისათვის შუამავალის როლში ყოფნის საშიშროების მიუხედავად, ესთერი დათანხმდა ამას: „ასე წავალ მეფესთან, თუმცა ეს კანონს ეწინააღმდეგება; და, თუ დავიღუფები, დავიღუპო“! (ესთერი 4:16).

შემდეგ ესთერი თავმდაბლურად ესაუბრა მეფეს და „ფეხებში ჩაუვარდა და ატირდა, რომ . . . გაეუქმებინა წერილები . . . იუდეველთა მოსასპობად“. მან დაამატა: „როგორ ვუყურო უბედურებას, რაც ჩემს ერს უნდა შეემთხვეს“? (იხ. ესთერი 8:3, 5–6). მეფეს გული მოულბა და მან დააკმაყოფილა მისი თხოვნა.[3]

შენიშვნები

1. იხ. რასელ მ. ნელსონი, “Jesus Christ—Our Master and More” (ბრიგამ იანგის უნივერსიტეტი, შეხვედრა ბუხართან, 2 თებერვალი, 1992), 4; speeches.byu.edu.
2. დ. ტოდ კრისტოფერსონი, “I Know in Whom I Have Trusted,” *Ensign,* 1993წ. მაისი, გვ.83.
3. იხილეთ *Daughters in My Kingdom: The History and Work of Relief Society* (2011), 180.

განიხილეთ შემდეგი

როგორ შთაგვაგონებს იესო ქრისტეს შუამდგომლობა სხვების მიმართ მოწყალებისა და მიტევების გაღებისთვის?

© 2014 Intellectual Reserve, Inc.მიერ. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/14. თარგმანი დამტკიცებულია: 6/14. თარგმანი*Visiting Teaching Message, July 2014.* Georgian. 10867 131